# ლიტერატურული ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის" დამატება
№6, 1 ივლისი, ორშაბათი, 2024 წელი

## ეროვი ლექსი

### დღესაც

კაცობრიობა ერთგვარ სახეს კვლავ ინარჩუნებს,
სინდისის ხმას კი საუკუნეთა თვლა ვერ აჩუმებს.
იყო ოდითგან შური, წყრომა, დაუნდობლობა,
ხშირად ღალატმა მოიტანა წამხდარი ნდობა.
თვალი მოვავლოთ აწმყო ცხოვრების გამოვლინებას,
იმ ვნებათაგან უმრავლესი კვლავ გვევლინება.
გაგეღიმება თუ გათანგულს წაგეთვლიმება,
უნდა ეძიო, სად, ვისი წირვა აღევლინება.
მხოლოდ ეგოსთვის თუ იზრუნებს ირგვლივ ყოველი,
მაშინ რის ფასად გვბოძებია წუთისოფელი?
ადამიანის შთამომავალს რა აღამაღლებს,
თუ ამ ცხოვრებით მხოლოდ თავის სურვილს ანაყრებს.
ვით უკუნეთში მოკიაფე ციცინათელა,
როგორც ტალღებში ჩაკარგული მარგალიტები,
ნამდვილი გრძნობა, სიყვარული საძებარია
და აღარ შველის აფორიზმთა მაგალითები.
ზოგი მიყვება უსასრულო განზომილებას,
ზოგს კი, არ უნდა, თავი იგრძნოს უფლის ქმნილებად,
სხვისი ღვაწლია, სპეტაკი სული გადაირჩინოს,
ვიღაცა ირჩევს, იოლი გზით თავი ირჩინოს.
ცხოვრება თავად შემოგახვევს მტანჯველ მარწუხებს,
მარხვა თუ მსგეფსი, ყველას მაინც აქვს თავისი წესი.
სხვისი გულისთვის, ოცნებებით თუ ათევ მწუხრებს,
მაშინ შენს მარცვალს საუკუნოდ გაუდგამს ფესვი.
როცა უსულო ფოთლებივით ვკარგავთ ძვირფასებს,
მაშინ ამაო ღირებულებებს ვინ დაგიფასებს?
მშვიდად ისუნთქე, სანამ ზეცა ბროლს დაგვაპკურებს
და ჰორიზონტზე მზის გრადაციებს თვალი გაჰყურებს.

**ნუცა ჩიტაძე**

## პროზა

**აკვანი**
**(ნამდვილი ამბავი)**

ბაბუის წერილი ნინიკოს:

,,დღეს ყველაზე ბედნიერი და გახარებული დავწქი დასაძინებლად...ჩემი პატარა ნატვრისთვალი დაიბადა. როგორც იქნა, ღმერთმა წყალობის თვალით გადმოხედა ჩვენს ოჯახს. ამდენი ხნის ნანატრი შვილიშვილი ჩაგვისვა კალთაში...

მე, ბაბუა, ერთი უბრალო ბერიკაცი ვარ... წესიერად შეიძლება, ზღაპარიც ვერ მოგიყვე. სათვალეც კი არ მიშველის, ჩემი დაფსობილი თვალებით წიგნი წაგიკითხო, მაგრამ მე შენთვის ახალ ზღაპრებს მოვიგონებ, ბაბუ, მოვიფიქრებ და ზეპირად მოგიყვები. მერე კი... მერე რად გინდა, ბაბუ, ჩემი ზღაპრები, თვითონ ისწავლი კითხვას და დაფრთიანდები. მანამდე მე შეგაყვარებ ჩვენს დალოცვილ სოფელს, ჩვენს ანკარა წყაროებს, ჩვენს ბებერ მურას და ჩირივით ჩამომხმარ ბებოსაც, რომელსაც დღესაც ნინიკელას ვუწოდებ, თითქოს ის პატარა გოგო იყოს, მე რომ პირველად ვნახე... შენ შეიძლება ისეთი კარგი გოგო დადგე, დაჩაჩანაკებულ ბებრებს წყალს არ გვაკლებდე, დაკარგულ ჯოხს მოგვირბენინებდე და მურას ყეფაზე ჩემს ნაცვლად გახედავდე სტუმარს. შეიძლება ისეთი კარგიც იყო, რომ ბაბუს თუთუნიც ამოურბენინო სოფლის კეკელა მაღაზიიდან, მაგრამ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ საერთოდ არცერთი ამ საქმეთაგანი არ დაივალო. შენ მაინც ბაბულიას გოგო იქნები, თვალხატულა და ჰაერივით სიფრიფანა.

ახლა შენს სიცხიან ქალაქში მოვდივარ, ბაბუ. თან მომაქვს ჩიტებით მოხატული, შენი პატარა აკვანი... ეს აკვანი საგანგებოდ შენთვის შევარჩიე. წესიერად თვლა რომ ვიცოდე, დავთვლიდი, კიდევ რამდენი აკვანი გამოვთალე. რაც გამოვთალე და გავაკეთე, სულ სიყვარულით. სულ ,,იავნანას" დავმღეროდი ხოლმე და ასე მგონია, ესმოდათ კიდეც ჩემი ამ დალოცვილებს. ანგელოზებისთვის ვაკეთებდი და ანგელოზები მეხმარებოდნენ. ისე მიხაროდა, ბაბუ, ჩემს ჭიშკართან კაცი რომ დაიძახებდა – აკვანი უნდა შეგიკვეთოო, – ეს ხომ ახალი სიცოცხლის დაბადებას ნიშნავდა. უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე, რომ შენთვის ჩემი ხელით გამეკეთებინა ეს აკვანი. აბა, ქალაქში ნაყიდი აკვანი რა იქნება, ქალაქში გაზრდილი ხეც არ ვარგა, ბაბუ, სხვა მადლი აქვს ჩვენს ხეებს. შენს შვილიშვილებს ეყოფათ ეს აკვანი, ბაბუ, იმფერი ხისგანაა გამოყვანილი.

ახლა მატარებელი გუგუნით უახლოვდება დედაქალაქს. ჩემი გამოყრუებული დედაკაცი გვერდით მიზის. მეტი ჩვენ ვეღარ შევძლებთ, მგონია, რომ ჩამოვიდეთ ქალაქად. ესეც რომ არ იყოს, მეთექვსმეტე სართულზე რა ამიყვანს კიდევ ერთხელ, ბაბუ, სად შეუძლია ცაზე სიარული ჩვენს ბებერ მუხლებს... შენ გენაცვალე, ბაბუ, შენ მომეცი ამის ძალა, რომ ისევ დავდგომოდი ამ გრძელ და ხმაურიან გზას. ჩვენი ადესაც აგერ მიდევს და მამაშენს ალბათ ერთი სული აქვს, როდის გაისველებს ყელს. იქნება ახლა ქეიფის ხასიათზე. ვარია შევწვით, აბა, მანდ შემწვარი ქათამი რა მისართმევია სტუმრებიზა... სულგუნიც გამოიყვანა თავისი მიმჭკნარი ხელით ბებიაშენმა და ზედ ჯვარი გამოსახა შენს სახელზე, ბაბუ, შოთი პურები ვერ გამოგიცხვეთ, დაბერდა ბებიაშენი და ძალა აღარ აქვს, არ გეწყინოს, ბაბუ...

ისე მიცემს გული, ამ მატარებლის ხმაურშიც მესმის ხმა მკერდიდან. როდის გნახავ და შეგავლებ თვალს, ჩემო თვალხატულა...

აი, გაჩერდა მატარებელი. წერილის წერას თავს ვანებებ. იმდენი რამე მაქვს მოსაყოლი, მაგრამ დამთავრდა გზა და არაა ჩემი ბრალი. არა უშავს, აქითობისას მოგწერ, ბაბუ, კიდევ...

ტკივილით და დარდით მაქვს, ბაბუ, გული სავსე...

როგორღაც ამოვბობღდით მეთექვსმეტე სართულზე... სული ძლივს ამოვიტანეთ... მარა რად გინდა... ჩაგვამწარა სიხარული დედაშენმა და მამაშენმა, მე იმ დახვედრას და მიღებას არ ვჩივი, ბაბუ, რა ეშმაკი გამაჩერებს ამ ციხეში, ძალიანაც რომ მეხვეწონ, მაგრამ შენი კოცნის უფლება კი მქონდა, ბაბუკელა, რამდენჯერ სიზმარში დამსიზმრებიხარ... რამდენჯერ წარმომედგინა ეს დღე, მაგრამ ამას როგორ ვიფიქრებდი...

ბევრი რომ არ მოგაბეზრო თავი, წუხელ შუაღამეზე შენი მშობლების ჩხუბმა გამაღვიძა, ისეთი გაბრაზებული იყო დედაშენი, თითქოს კეთროვნები ვყოლოდით სახლში. მამაშენს ეუბნებოდა:

– რას ჩამოდიოდნენ, ვერ მოესწრებოდნენ ჩვენს ჩასვლას და ნახვასო?! ეს ეშმაკის მოგონილი აკვანი რომ ჩამოიტანეს, სირცხვილით თავი სად გამოვყო, მაგაში როგორ ჩავაწვენ ჩემს ნანატრ შვილს, მომაცილე, თორე ფანჯრიდან გადავაგდებ, იცოდეო...

მამაშენი რაღაცას ეუბნებოდა, მაგრამ მეტი არაფერი გამიგონია, გული ხელით მეჭირა. გათენებას ასე დაველოდე, მოვკიდე ხელი ჩემს დედაკაცს, აკვანს და უსიტყვოდ წამოვედი, ისიც კი ვერ მოვახერხე, შენთვის მეკოცნა, – წვერი მაინც გაგეპარსაო, დედაშენმა... ვერ დავიმახსოვრე შენი სახე, ბაბუ, რომ სიზმარში მაინც დამსიზმრებოდი...

ვზივარ ახლა ვაგონში და ვისმენ ბებიაშენის ქვითინს. ვიღაცამ გვკითხა – შვილები არ გყავთო? დედაკაცმა იმთავითვე უპასუხა – არაო... და გული ჩამწყდა... თითქოს მეხი დამეცა მკერდზე... ამ აკვანს ვაჩუქებ სოფელში ვინმეს, თუ სადმე დაიბადება ერთი ბავშვი, მაგრამ მე ხომ ეს შენი სიყვარულით გამოვთალე... მინდოდა, შენ დაგეძინა და ჩემი ლოცვა-მადლი დაგფენოდა სასთუმალთან, ბაბუ...

არასოდეს დაგავიწყდეს, ადამიანები მგლები არიან და ცხვრად თავი არ მოაჩვენო, თორემ შეგჭამენ, დაუნდობლად შეგჭამენ!

მიყვარხარ, ბაბუ... ნეტა ისეთი ქალი დადგებოდე, ჩემს საფლავთან მოსული ამას ჩამომძახებდე:

– რა შვილიშვილი გაგეზარდა, ამირანო...

მაგრამ მე ორი პარასკევი დამრჩენია და ალბათ ორ პარასკევში ეს არ მოესწრება...

უფალს ებარებოდე, ჩემო მესისხლევ, გენაცვალოს შენი ბაბულია."

1982 წლის 25 აპრილს ეს წერილი რომ წავიკითხე, დედაჩემი მძიმედ იყო ავად. არც კი ვიცი, რატომ გადმომცა 20 წლის შემდეგ. შესაძლოა, სინანულის გამო. ვიცი, ასეთი საქციელი ადამიანს ოდესმე ახსენებს თავს და თვითგვემაში ვარდება. სწორედ ასე იყო დედაჩემიც... უკურნებელ სენს ებრძოდა, მაგრამ ეს არაფერი იყო მისთვის. ცდილობდა, ამქვეყნიური ცოდვები მოენანია და სულ ლოცვაში ატარებდა დღეებს...

და, როცა დედა აღარ იყო, მისგან დატოვებული ასეთი წერილი მივიღე:

,,ადამიანებს მხოლოდ ცხოვრება გვასწავლის ადამიანობას... შეხედე შენს თავს სარკეში და რაც ჩემი მსგავსი დაინახო, დაასამარე... წაშალე და დაივიწყე, შვილო... შენს თვალებში აუცილებლად ნახავ ბაბუის სახეს, მის ლამაზ სულს და ეცადე, ამ სულით იცხოვრო. გაგიჭირდება სიკეთით ცხოვრება, მაგრამ ჯობს, შენ დაგიშავონ რამე, ვიდრე სხვას ატკინო. არ მისცე თავს უფლება, რომ ჩემი გენი დაგეპატრონოს. ებრძოლე ჩემს ცუდს შენში, შვილო, და ილოცე ჩემი სასტიკი სულისთვის, ილოცე, გთხოვ."

მას შემდეგ წლები გავიდა. როგორც იქნა, ექიმის დიპლომი ავიღე და ოჯახიც შევქმენი. ისეთი ბედნიერი ვიყავი, როცა გავიგე პატარას ველოდებოდი, მეუღლე სიხარულით ცას ეწია, სახლის სხვენი გამოაღო და ბრახაბრუხით რაღაც ჩამოიტანა კიბეზე. სახტად დავრჩი... მითხრა: ჩვენი შვილი აკვანში უნდა გაიზარდოს, როგორც ნამდვილი ქართველი, მეც ამ აკვანში გავიზარდეო. გამეცინა... რა დროს აკვანია, ან საიდან მოიტანე-მეთქი. 27 წლის წინ მამას და დედას, რომელიც ჩემზე ორსულად იყო, მატარებლით მოხუცებთან ერთად უმგზავრიათ და იმათ უჩუქებიათო...

გავშრი... მერე დიდხანს, გიჟივით ვკოცნიდი დამტვერილ, დაობებულ აკვანს და დროდადრო, ტირილნარევი სიცილით ავხედავდი მეუღლის გაოცებულ თვალებს."

უცნობი ავტორი

# ხელოვანთა პორტრეტები

**ანა ახმატოვასა და ამადეო მოდილიანი**

ანა ახმატოვას პირად ცხოვრებაზე საუბარი არ უყვარდა. ანას რომანების შესახებ საზოგადოებისათვის ცნობილი მხოლოდ მისი მეგობრებისგან გახდა. ხშირად პოეტი თავის ლექსებში ამჟღავნებდა საყვარელი მამაკაცების მიმართ თავის გრძნობებს. და მხოლოდ ერთმა ისტორიამ, რომელიც მას ახალგაზრდობაში გადახდა, როდესაც ოცი წლის იყო, გააჩინა ბევრი კითხვა, რომლებზეც პასუხის გაცემა დღემდე არავის შეუძლია.

ახმატოვა საგულდაგულოდ მალავდა ამ სიყვარულის ისტორიას და სათუთ გრძნობებს იტალიელი მხატვრის ამადეო მოდილიანის მიმართ მხოლოდ სიცოცხლის ბოლოს ფრთხილად ახადა ფარდა.

ებრაული წარმოშობის იტალიელი მოდილიანი პარიზში 1906 წელს გადავიდა, რათა ფრანგ ფერმწერებთან სამხატვრო ოსტატობის გაკვეთილები მიეღო და ფართო საზოგადოებისათვის ახალგაზრდა, ნიჭიერ მხატვრად გაეცნო თავი.მოდილიანი ყველასთვის უცნობი და ღარიბი იყო.მისი სახე კი გამოხატავდა ისეთ უზრუნველობასა და სიმშვიდეს, რომ ახმატოვას ის უცნაური, მისთვის გაუგებარი და ამოუცნობი სამყაროს მკვიდრი ეგონა.

დახვეწილი, არისტოკრატული გარეგნობის, მგრძნობიარე ამადეო გამოირჩეოდა განსაკუთრებული ექსტრავაგანტურობით, რაც რუს გოგონას მაშინვე თვალში მოხვდა. ის იხსენებდა, რომ პირველი შეხვედრისას მოდილიანის ეცვა ყვითელი ველვეტის შარვალი და კაშკაშა ასეთივე ფერის ქურთუკი. მაშინ მოდილიანი 26 წლის იყო, ანა ოცის. ამ შეხვედრამდე ერთი თვით ადრე, 1910 წლის გაზაფხულზე ახმატოვა დაინიშნა პოეტ ნიკოლაი გუმილიოვზე, რის შემდეგაც ისინი პარიზში გაემგზავრნენ.

მოდილიანი ახმატოვას საფრანგეთის დედაქალაქის ცენტრში შეხვდა. ამბობდნენ, პოეტი ისეთი ლამაზი იყო, რომ ქუჩაში გამვლელები თვალს არ აშორებდნენ, უცნობი მამაკაცები კი მოურიდებლად ხმამაღლა გამოთქვამდნენ მის მიმართ აღტაცებას.

მხატვარმა ახმატოვას მორიდებით სთხოვა მისი პორტრეტის დახატვა. ისიც დათანხმდა. ასე დაიწყო ვნებიანი, მაგრამ ხანმოკლე სიყვარულის ისტორია.

პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ ახმატოვა ლექსების წერას განაგრძობდა. მან ისტორიულ-ლიტერატურულ კურსებზე ჩააბარა. მისი ქმარი ნიკოლაი გუმილიოვი კი სექტემბრის დასაწყისში აფრიკაში გაემგზავრა, სადაც გაზაფხულამდე უნდა დარჩენილიყო. ახალგაზრდა ცოლი თავს მარტოსულად გრძნობდა და თითქოს მის აზრებს კითხულობდა, პარიზელმა ამადეომ მას ვნებიანი წერილი გაუგზავნა, სადაც გამოუტყდა, რომ მისი დავიწყება არ შეუძლია და მასთან ახალ შეხვედრაზე ოცნებობდა.

წერილები გახშირდა და ყოველ მათგანში მოდილიანი სიყვარულს ეფიცებოდა, მაგრამ ანა პარიზელი მეგობრებისგან, იგებდა, რომ დედო (ასე მიმართავდნენ მოდილიანის მეგობრები) ღვინოსა და ნარკოტიკებს მიეძალა.

მხატვარს სიღარიბე და უიმედობა სტანჯავდა. რუსი გოგონა კი, რომელიც ასე ძლიერად შეიჭრა მის ცხოვრებაში, შორეულ, უცხო და მისთვის გაუგებარ ქვეყანაში რჩებოდა.

1911 წლის მარტში გუმილიოვი აფრიკიდან დაბრუნდა. მალე ცოლ-ქმარმა სერიოზულად იჩხუბა. განაწყენებული ახმატოვა, რომელსაც პარიზელი თაყვანისმცემელი გაახსენდა, მოულოდნელად საფრანგეთში გაემგზავრა, სადაც სამ თვეს დარჩა.

ანამ ამადეო სრულიად სხვაგვარად დაინახა. ის გამხდარი, ფერკმრთალი, სმისა და უძილო ღამეებისგან გატეხილი იყო. დედო რამდენიმე წლით დაბერებული ჩანდა. მას წვერი ჰქონდა მოშვებული და ბერიკაცს ჰგავდა. თუმცა, ანა ახმატოვასთვის ვნებიანი იტალიელი სამყაროს ულამაზეს მამაკაცად რჩებოდა. ის, ადრინდელივით წვავდა გამჭოლი მომნუსხველი მზერით. მოდილიანიმ ანას დაუვიწყარი დღეები აჩუქა, რომლებიც მასთან მთელი ცხოვრება დარჩა.

რამდენიმე წლის შემდეგ ანა იხსენებდა, რომ მხატვარი ისეთი ღატაკი იყო, რომ მას ვერსად პატიჟებდა და მთელს ქალაქში ფეხით დაატარებდა. ისინი ხშიდად შედიოდნენ მათთვის საყვარელ ლუქსემბურგის ბაღში, სადაც საათობით ისხდნენ სკამზე. სეირნობდნენ ღამის პარიზში ძველ, ბნელ ქუჩებში. ერთხელ ხეტიალისას გზა აებნათ და მხატვრის სახელოსნოში მხოლოდ გათენებისას მივიდნენ. პატარა, ტილოებით სავსე ოთახში ახმატოვა მხატვრისთვის პოზირებდა.

ახმატოვა იხსენებდა, რომ მაშინ მოდილიანმა ათზე მეტი მისი პორტრეტი დახატა, რომლებიც შემდეგ ხანძრის დროს დაიწვა, თუმცა დღემდე ზოგიერთი ხელოვნებათმცოდნე მიიჩნევს, რომ ახმატოვამ ეს პორტრეტები დამალა, რადგან არ სურდა, ისინი მსოფლიოს ენახა. შესაძლოა, ანას ეშინოდა, რომ ეს ნახატები მათი ურთიერთობის შესახებ სიმართლეს გაამხელდნენ.

მრავალი წლის შემდეგ მხატვრის ნამუშევრებს შორის აღმოაჩინეს შიშველი ქალის პორტრეტი, რომელიც ძალიან ჰგავდა რუს პოეტ ქალს. ეს ნახატები მოდილიანისა და ახმატოვას სიყვარულის დადასტურებად იქცნენ. ეს ორი არსება, შესაძლოა, საუკუნოდ ერთად დარჩენილიყო, მაგრამ ბედმა ისინი ერთმანეთს სამუდამოდ დააშორა.

თუმცა, შეყვარებულები არ ფიქრობდნენ განშორებაზე. ისინი ერთმანეთით ტკბებოდნენ, ის – მარტოსული და ღატაკი იტალიელი მხატვარი და გათხოვილი რუსი ქალი. დღისით მოდილიანს ანა მუზეუმებში დაჰყავდა, განსაკუთრებით ხშირად სტუმრობდნენ ლუვრის ეგვიპტურ სარდაფს. ამადეო დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ ეგვიპტური ხელოვნება წარმოადგენდა ნამდვილ ღირშესანიშნაობას. მხატვარი უარყოფდა ფერწერის სხვა მიმდინარეობებს. ანას ის გამოსახავდა ეგვიპტელი დედოფლებისა და მოცეკვავეების სამოსში. შეყვარებულები გამოდიოდნენ სახელოსნოდან და ღია ცის ქვეშ გათენებამდე სეირნობდნენ.



როგორც შემდეგ ახმატოვა იხსენებდა, იმ დღეებში თავსხმა წვიმები იყო. მზრუნველ დედოს ყოველთვის ჰქონდა შავი ქოლგა, რომელსაც წვიმის დროს ანას აფარებდა, თითქოს ყველანაირი საფრთხისგან იცავდა. იმ წუთებისთვის ანასათვის არსებობდა მხოლოდ ის – მისი უცნაური მეგობარი, რომელიც პატარა ბავშვს ჰგავდა, სასაცილო რომანტიკოსი, რომელიც არამიწიერ სამყაროს აღმერთებდა.

ანას არასდროს უნახავს მთვრალი მოდილიანი. მხოლოდ ერთხელ ჰაშიშის ზემოქმედების ქვეშ იწვა ის საწოლზე და ანას ხელი ეჭირა და დაბნეულად, არეული, გონებადანისლული იმეორებდა: „იყავი კეთილი, იყავი ნაზი“. „მაგრამ არც კეთილი და არც ნაზი მასთან არ ვყოფილვარ“, – აღნიშნავდა შემდეგ ანა.

როდესაც ახმატოვა პარიზს ტოვებდა, მასთან დამშვიდობებისას მხატვარმა გადასცა ნახატები, რომლებზეც ეწერა: „მოდი“. ფრანგულად ეს „დაწყევლილს“ ნიშნავდა. ამადეო ანას სთხოვდა, ეს ნახატები რუსეთში თავისი ოთახის კედლებზე დაეკიდა, მაგრამ ანამ იტალიელი მხატვრის ნახატები საიმედო ადგილას დამალა. მხოლოდ მოდილიანის ერთადერთი ნამუშევარი ეკიდა სიცოცხლის ბოლომდე მისი საწოლის თავზე.

„მათი ბოლო შეხვედრიდან ცხრა წელი გავიდა. ახმატოვა ლექსების წერას განაგრძობდა, მან სახელი გაითქვა. ანას ზოგიერთ ლექსში ჩანდა პარიზისა და ამადეოს სევდიანი მონატრება.

სიცოცხლის ბოლომდე პოეტი ამტკიცებდა, რომ მის შემოქმედებაში არ არსებობდა მოდილიანისადმი მიძღვნილი არცერთი ლექსი.

ასე იყო თუ არა, დღეს ძნელი სათქმელია. დედო კი ქალებს კვლავ ხვდებოდა, ის ცდილობდა, მათ შორის თავისი მუზა ეპოვა. მის სახელოსნოში რამდენიმე დღის განმავლობაში კვლავ ცხოვრობდნენ იაფასიანი კაბარეს მოცეკვავეები, ბორდელის მეძავები და ქუჩის ქალები.

ამადეომ კვლავ სმას მიჰყო ხელი და ყურადღებას არ აქცევდა თავის გაუარესებულ ჯანმრთელობას. მას „უსახლკარო მაწანწალას“, „დონჟუანსა და გულთამპყობელს“ უწოდებდნენ.

ამადეო მღელვარე, აღვირახსნილი ცხოვრების წესს მისდევდა. თითქოს სურდა, რაც შეიძლებოდა მალე მომკვდარიყო. ღამით ფერწასული, წვერმოშვებული შავთმიანი ახალგაზრდა კაცი თავზე ირგებდა შავ ქუდს და პარიზის ქუჩებში დაეხეტებოდა. შესაძლოა, სწორედ იმ დროს იხსენებდა ამოუცნობ რუს გოგონას, რომელიც მას მისთვის გაუგებარ ენაზე შექმნილ ლექსებს უკითხავდა.

1914 წელს მოდილიანიმ გაიცნო მდიდარი ინგლისელი ქალი ბეატრის

ჰასტინგსი, რომელიც მასზე ხუთი წლით იყო უფროსი და ძალიან უყვარდა მხატვარი. მათი რომანი ვნებიანი, მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა. ორი წლის შემდეგ ბეატრისს მოსწყინდა მთვრალი ამადეოს ატანა და მისგან წავიდა.

ერთი წლის შემდეგ მხატვარი გაიტაცა ოცი წლის ჟანა ებიუტერნის სიყვარულმა. მათ ერთად ცხოვრება დაიწყეს. 1918 წლის შემოდგომაზე ჟანამ გოგონა გააჩინა. მხატვარი ბედნიერი იყო. ბოლოსდაბოლოს მან მოიპოვა ოჯახი და დიდი ხნის ნანატრი სიმშვიდე. მაგრამ მას ძალა დღითიდღე ელეოდა.

1919 წლის ბოლოს მოდილიანი გაცივდა და ერთი თვის შემდეგ გარდაიცვალა.

დარდისგან ჭკუიდან გადასულმა ჟანამ, რომელიც მეორე ბავშვზე რვა თვის ორსული იყო, საყვარელი კაცის სიკვდილი ვერ გადაიტანა და ფანჯრიდან გადახტა, რადგან ამ ქვეყნიდან წასვლა ამადეოსთან ერთად სურდა.

ანა ახმატოვამ ცნობა მოდილიანის გარდაცვალების შესახებ შემთხვევით შეიტყო. ამადეო მოდილიანის ქალიშვილმა წლების შემდეგ დაწერა წიგნი მამაზე, სადაც აღწერდა მის ცხოვრებას და სხვადასხვა ქალთან მის ათობით რომანს.

ის ახსენებდა ყველა ქალს, რომელთა მიმართაც მამამისი ძლიერ გრძნობას განიცდიდა. ამ წიგნში მხოლოდ ახმატოვაზე არაფერია ნათქვამი. შესაძლოა, მხატვარს, ისევე როგორც პოეტს, არ სურდა გაეხმაურებინა მათი უცნაური და უჩვეულო რომანი.

1922 წელს მსოფლიომ მოდილიანი დიდებულ მხატვრად აღიარა. დღეს მისი ნახატები აუქციონებზე მილიონობით დოლარი ღირს.

1960-იანი წლების დასაწყისში ახმატოვამ მაინც გადაწყვიტა იტალიელ მხატვართან შეხვედრის შესახებ მოგონებები დაეწერა. ის იხსენებდა ხანმოკლე, მაგრამ დიდ სიყვარულს.

„ყველაფერი, რაც ხდებოდა, ორივესთვის ჩვენი ცხოვრების წინასიტყვაობა იყო: მისი ძალიან მოკლე და ჩემი ძალიან გრძელი ცხოვრების“- წერდა ანა. ახმატოვა აღარ უარყოფდა ამადეოსადმი თავის სიყვარულს. პოეტი 1966 წლის 5 მარტს გარდაიცვალა.

1990-იანი წლების დასაწყისში იტალიაში ამადეო მოდილიანის ნამუშევრების გამოფენა გაიმართა. დამთვალიერებლებმა ას ნახატს შორის აღმოაჩინეს ლამაზი, ახალგაზრდა, შავთმიანი გოგონას თორმეტი გამოსახულება. ეს ანა ახმატოვას პორტრეტები იყო.

23 ივნისი გენიალური რუსი პოეტი ქალის ანა ახმატოვას დაბადების დღეა...

## რეგიონის სკუმპრი

### ახალი პროექტები

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი, კონსტანტინე (უმცროსი) გამსახურდია კოლეგებთან, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილესთან, მირიან ხოსიტაშვილთან და საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორთან, ლევან თაქთაქიშვილთან ერთად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებას ეწვია.

შეხვედრის ადგილი გახლდათ ქვიშხეთი, დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი.

სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს წმინდანის სახლში განთავსებული მუზეუმი. სახლი, რომელშიც ცხოვრობდა სამშობლოს სინდისის დამცველი, ჩვენი კულტურის უდიდესი ხუროთმოძღვარი დიმიტრი ყიფიანი. სადაც, 1923 წლიდან ქართველი მწერლები ისვენებდნენ და კვალს ამჩნევდნენ ულამაზესი სოფლის ისტორიას.

სტუმრობის ერთ-ერთი საკითხი გახლდათ მუზეუმის ტერიტორიაზე არსებული ე.წ. „სასადილოს კორპუსი“, რომლის რეაბილიტიზაციასაც და, შემდგომ, დიმიტრი ყიფიანის სახელობის ბიბლიოთეკის გახსნასაც, მომავალი წლიდან გეგმავს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

საუბარი იყო ორ ისეთ მნიშვნელოვან პროექტზე, რომელიც უახლოეს პერიოდში განხორციელდება:

მედიათეკის შენობა მთავარი ბიბლიოთეკის შენობის ადგილზე (მანამდე, სულ რამდენიმე კვირაში, მერიის შენობაში განთავსდება ქალაქის მთავარი ბიბლიოთეკა) და სურამის ბიბლიოთეკისა და სამუსიკო სკოლის პროექტი, რომელიც ერთ სივრცეში (გამიჯვნით) მოიაზრება.

შეხვედრა კითხვა-პასუხისა და ეროვნული სულისკვეთების მაღალი განცდის ბუნებრივ რეჟიმში წარიმართა.

კონსტანტინე გამსახურდიამ ახლახან გამოცემული წიგნი „ქვიშხეთი“ უნიკალურ ნაშრომად შეაფასა და აღნიშნა, რომ ხაშური, სურამისა და ქვიშხეთის სახით, ორ დიდ, შეუფასებელ მარგალიტს ფლობს...

**კლარა გელაშვილი** – ხაშურის საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელი

## სიყვარულის ისტორია

### უპასუხო სიყვარული

ახალგაზრდა ირლანდიელი პოეტი ჯეიმს ო’ლირი საქართველოში ლეგენდას ჩამოჰყოლია. სურდა, საკუთარი თვალით ეხილა ულამაზესი ქართველი მანდილოსნები

ერთხელაც, თბილისში წიგნის მაღაზიაში ყოფნისას მშვენიერ ქალს გადააწყდა. ვინაობა უკითხავს, – სოფიო მეტრეველი გახლავთო, მოახსენეს.

ის დღე იყო და მოსვენება დაუკარგავს უცხოელს. მეტრეველის ქალი გულში ჩავარდნია. მისი სახლის მისამართიც გაუგია და ხელის სათხოვნელად მზად იყო, მაგრამ სოფიო მეტრეველის გული საქართველოს ბულბულს ვანო სარაჯიშვილს დაეპყრო. სოფიო მომღერლის ფოტოს მედალიონში ინახავდა და თან ატარებდა.

პოეტი ალბათ გაწბილებული დარჩებოდა, ვანო სარაჯიშვილი რამდენიმე წლით მილანში რომ არ გამგზავრებულიყო.

ამასობაში ქალაქში ჭორი დაირხა: მომღერალი იტალიელ ლამაზმანზე დაქორწინდა და შვილიც შეეძინაო.

დადარდიანებული სოფიო მეტრეველი ო’ლირის მეუღლე გახდა და ირლანდიაში გაემგზავრა. წყვილს ორი ვაჟი შეეძინა. ქალის პირობა ასეთი იყო: შვილებს მისი ქართული გვარი უნდა ეტარებინათ. ო’ლირმა ცოლს სურვილი შეუსრულა.

წლების შემდეგ პოეტს გეგმები შეეცვალა და საცხოვრებლად ამერიკაში გადასვლა ისურვა. სოფიო მეტრეველი დარდისგან ლოგინად ჩავარდა.

ქმარმა თავისი არ დაიშალა და სამი ბილეთი აიღო იმ დროის საოცრებად მონათლულ გემ ,,ტიტანიკზე”. ეს ო’ლირის ბოლო მოგზაურობა იყო. იგი დაიღუპა, თუმცა, ორივე მცირეწლოვანი ბავშვი გადარჩა.

სოფიო მეტრეველმა პრესის საშუალებით მიაგნო შვილებს და ორი თვის შემდეგ გულში ჩაიკრა ბიჭები. მალევე მამის ხსოვნის საპატივცემულოდ ვაჟები ქმრის გვარზე გადაიყვანა.

გავიდა ორი ათეული წელი და ევროპაში გასტროლებზე მყოფი ვანო სარაჯიშვილი კულისებში ორმა მშვენიერმა ყმაწვილმა ინახულა. ძმებმა მომღერალი ვახშამზე მიიწვიეს. მასპინძელი მშვენიერი სოფო მეტრეველი გახლდათ, რომელიც ახალგაზრდა შეყვარებული გოგო აღარ იყო, მაგრამ წლებს მისი სილამაზე დაენდოთ, ისევე, როგორც მაესტროსადმი სიყვარული.

ეს მათი პირველი და უკანასკნელი შეხვედრა იყო. სოფიო მეტრეველი ო’ლირი სამშობლოში აღარ დაბრუნებულა, იგი ირლანდიაში გარდაიცვალა.

რედაქტორი ეკატერინე ბაქრაძე